საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/200 "24" დეკემბერი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის დანამატის დაწესების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 23 იანვრის №1/6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის დანამატის დაწესების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 23 იანვრის №1/6 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 69-ე მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებისა და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 5 თებერვლის №1/89 დადგენილების მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობრივ სარგოზე ყოველთვიური დანამატი განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე - 3200 ლარი;

ბ) სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე - 3150 ლარი;

გ) სააპელაციო სასამართლოს პალატის (კოლეგიის) თავმჯდომარე - 3050 ლარი;

დ) სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე - 2950 ლარი;

ე) თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე - 3500 ლარი;

ვ) თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარე - 3400 ლარი;

ზ) თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე - 3300 ლარი;

თ) ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე - 3500 ლარი;

ი) ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, მაგისტრატი მოსამართლე - 3300 ლარი;

კ) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე - 3500 ლარი;

ლ) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, მაგისტრატი მოსამართლე - 3300 ლარი;

მ) სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარე - 2800 ლარი;

ნ) სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, მაგისტრატი მოსამართლე - 2600 ლარი.“.

2. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი